თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომის

ო ქ მ ი № 4

ქ.თელავი 20 მაისი 2019 წ.

თავმჯდომარეობდა: ლ.ლილუაშვილი

ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: ბესიკ ქოჩიშვილი, გიგა ორკოდაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნანა ხვისტანი, ალექსანდრე შათირიშვილი, დავით ღაღანიძე, ლევან კოჭლოშვილი;

ასევე ესწრებოდნენ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ფრაქცია „ქართული ოცნება მწვანეები"-ს თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი და ფრაქცია „ქართული ოცნება მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი;

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში სასმელი წყლის მაგისტრალის პრობლემის შესახებ;
2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საბავშვო ბაღის ფუნქციონირების აღდგენის აუცილებლობის შესახებ;
3. ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების განხილვის შესახებ;
4. სოციალური დახმარების პროგრამებისთვის დამატებით თანხების გამოყოფის შესახებ;
5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ;

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში სასმელი
წყლის მაგისტრალის პრობლემის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ
თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ
ფშაველში სტიქიის შედეგად დაზიანდა სასმელი
წყლის სისტემა და მოსაგვარებელია
აღნიშნული საკითხი;

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში
არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით საკითხი
წარედგინოს ბიუროს სხდომას;

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საბავშვო
ბაღის ფუნქციონირების აღდგენის აუცილებლობის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ფრაქციამ მიიჩნია, რომ უნდა მიემართოს ლევან
სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს რათა
მოხდეს ექსპერტიზის დასკვნის შედეგის დაჩქარება;

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის
საბავშვო ბაღის გახსნის პრობლემის მოგვარების
თაობაზე ეცნობოს ბიუროს სხდომას;

მოისმინეს: 3 ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური
გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების განხილვის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ
მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ)
გეგმარებითი დავალების განხილვაში აქტიურად
უნდა იყოს ჩართული საკრებულო;

გადაწყვიტეს: ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური
გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების განხილვის თაობაზე
ეცნობოს ბიუროს სხდომას;

მოისმინეს: 4. სოციალური დახმარების პროგრამებისთვის
დამატებით თანხების გამოყოფის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ
სოციალური დახმარების პროგრამებზე
არის დიდი მოთხოვნა და თანხის არარსებობის
გამო რომ არ მოხდეს პროგრამის შეჩერება, ამისათვის
საჭიროა ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებითი თანხები;

გადაწყვიტეს: სოციალური პროგრამებისთვის თანხების დამატების თაობაზე
წინადადება ეცნობოს ბიუროს;

მოისმინეს: 5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ
მუნიციპალიტეტის ბალანსზე არის ისეთი ავტოსატრანსპორტო
საშუალებები რომლებიც ამორტიზებულია და რომელთა ნაწილი
შეკეთებას არ ექვემდებარება, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება
აღნიშნული ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა.

გადაწყვიტეს: აღნიშნული საკითხი წარედგინოს ბიუროს
სხდომაზე განსახილველად;

ფრაქციის თავმჯდომარე: ლ. ლილუაშვილი